ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №108

2015 წლის 30 ივლისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემაზე და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ზ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს თანხმობა პირობიანი აუქციონის წესით გაასხვისოს ქ.ქობულეთი რუსთაველის ქუჩა N264-ის მიმდებარედ მდებარე 1817,0 კვ.მ. (ს/კ N 20.42.03.402) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ქ.ქობულეთში რუსთაველის ქუჩა N264-ის მიმდებარედ მდებარე 1817,0 კვ.მ (ს/კ N 20.03.402) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 69 600 (სამოცდაცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3.მუნიციპალიტეტის გამგებელმა აუქციონის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილეს (ნ.ბეჟანიძე)

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი ზუბალაშვილის ქ.N30)

6.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე